ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 94

"16" სექტემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიის წევრის საქმიანობის ანაზღაურების შესახებ

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი~-ს 61-ე მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. განისაზღვროს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიის წევრის საქმიანობის ყოველთვიური ანაზღაურება დანართის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების დანართით განსაზღვრული თანხები ანაზღაურდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიის წევრის საქმიანობის ანაზღაურების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2008 წლის 11 აპრილის №16 დადგენილება.

4. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

დანართი
დამტკიცებულია
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2014 წლის 16 სექტემბრის №94 განკარგულებით

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიის წევრის საქმიანობის ყოველთვიური ანაზღაურება

№	თანამდებობის დასახელება	ყოველთვიური სარგო
1	კომისიის თავმჯდომარე	2600 ლარი
2	კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	1500 ლარი
3	კომისიის წევრი (კომისიის მდივანი)	1300 ლარი
4	კომისიის წევრი	1000 ლარი